ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ივნისის _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ივნისის №---------- ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №203828304) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №3-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ადგილი №2-ის (საკადასტრო კოდი №03.03.21.456, ფართობით: 0,51 კვ.მ) და ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საკადასტრო კოდი №03.04.30.158, ფართობით: 1,7 კვ.მ.) 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნიების (21.03.2022 წლის №08/03 და №09/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 3 170.0 (სამიათას ას სამოსცაათი) ლარს.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №203828304) ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №3-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ადგილი №2 (საკადასტრო კოდი №03.03.21.456, ფართობით: 0,51 კვ.მ) გამოიყენოს ბანკომატის განსათავსებლად.

მუხლი 4. სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №203828304) ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.04.30.158, ფართობით: 1,7 კვ.მ.) გამოიყენოს კონდენციონერის აგრეგატის დასამონტაჟებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: _____ დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა სს ,,ლიბერთი ბანკის" (10.02.2022 წლის N022201834) მომართვა, რომლითაც ითხოვს ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №3-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ადგილი №2-ის /საკადასტრო კოდი №03.03.21.456, ფართობით: 0,51 კვ.მ/ და ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საკადასტრო კოდი №03.04.30.158, ფართობით: 1,7 კვ.მ.) 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №3-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ადგილი №2-ის (საკადასტრო კოდი №03.03.21.456, ფართობით: 0,51 კვ.მ) და ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საკადასტრო კოდი №03.04.30.158, ფართობით: 1,7 კვ.მ.) 2 (ორი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნიების (21.03.2022 წლის №08/03 და №09/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 3 170.0 (სამიათას ას სამოსცაათი) ლარს. სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკმა" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №3-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ადგილი №2 (საკადასტრო კოდი №03.03.21.456, ფართობით: 0,51 კვ.მ) გამოიყენოს ბანკომატის განსათავსებლად. სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკმა" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა №2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტროტუარის ნაწილი (საკადასტრო კოდი №03.04.30.158, ფართობით: 1,7 კვ.მ.) გამოიყენოს კონდენციონერის აგრეგატის დასამონტაჟებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება ,,ლიბერთი ბანკისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი